როგორ გამოვაგზავნო დაკვირვების შედეგები?

მას შემდეგ, რაც მოსწავლეებთან ერთად ჩაატარებთ ფრინველებზე დაკვირვებას, საჭირო იქნება ამ დაკვირვების შედეგების გადაგზავნა გარემოს დაცვის სამინისტროში.

შედეგების გაგზავნა ხდება ელექტრონულად. გახსენით ვებ-გვერდი **biomonitoring.moe.gov.ge/frinvelebi** და შედით თქვენს პროფილში, ისე როგორც ზევით არის მითითებული (იგულისხმება, რომ თქვენ უკვე დარეგისტრირებული მასწავლებელი ხართ).

პროფილში შესვლის შემდეგ, აირჩიეთ ჩანართი **"22 მაისი"**. ეს ჩანართი აქტიური იქნება მხოლოდ 22 მაისიდან 10 ივნისამდე. **შედეგებიც სწორედ ამ პერიოდში უნდა გამოაგზავნოთ**.

აღნიშნულ ჩანართში 22 მაისიდან გამოჩნდება სპეციალური გრაფები, სადაც უნდა მიუთითოთ კამპანიაში მონაწილე მოსწავლეების რაოდენობა და მათ მიერ აღრიცხულ ფრინველთა თითოეული სახეობის საერთო რაოდენობა.

თუ სურვილი გაქვთ, კომენტარების გრაფაში შეგიძლიათ ჩაწეროთ მოკლე კომენტარიც და გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები კამპანიასთან დაკავშირებით.

<u>მნიშვნელოვანია, რომ როდესაც ყველა საჭირო მონაცემს შეიყვანთ, დააჭიროთ ღილაკს **"შენახვა"**</u>

ამ გზით დაკვირვების შედეგები იგზავნება გარემოს დაცვის სამინისტროში.

გახსოვდეთ, შედეგების გამოგზავნის ბოლო ვადა 10 ივნისია.

ამ ვადის გასვლის შემდეგ შედეგების გამოგზავნა შეუძლებელი იქნება. ასე რომ, ყურადღებით იყავით.

რა უნდა გვახსოვდეს

როდესაც ვებ-გვერდზე დარეგისტრირდებით და შექმნით თქვენს ანგარიშს, ნურავის გაანდობთ თქვენს პაროლს, რათა თავიდან აიცილოთ მესამე პირის მიერ თქვენს ანგარიშში არაავტორიზებული შესვლა. გარდა ამისა, ყოველთვის როდესაც დაასრულებთ თქვენ ანგარიშში მუშაობას, აუცილებლად გამოდით ანგარიშიდან. ამისათვის მარჯვენა პანელზე დააწკაპუნეთ ღილაკზე **"გასვლა"**.



არასწორი შედეგები გამოვაგზავნე. როგორ მოვიქცე?

თუ აღმოაჩინეთ, რომ არასწორი შედეგები გაქვთ გადმოგზავნილი, თქვენ **10 ივნისამდე** ყოველთვის გექნებათ შესწორების შესაძლებლობა. ამისათვის თქვენს პროფილში, "22 მაისის" ჩანართზე (სადაც დაკვირვების შედეგები ჩაწერეთ), დააწკაპუნეთ ღილაკზე **"შედეგების შესწორება"**, შეასწორეთ ინფორმაცია და ისევ დააწკაპუნეთ ღილაკზე **"შენახვა"**. 10 ივნისის შემდეგ შედეგების შესწორება შეუძლებელი იქნება.

სად შეიძლება მოვიძიო დამატებითი ინფორმაცია ?

სრულყოფილი ინფორმაცია საგანმანათლებლო კამპანია **"ბაღის ფრინველთა საათის"** შესახებ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე **biomonitoring.moe.gov.ge/frinvelebi**

დამატებით შეკითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით.

თუ გადაწყვეტილი გაქვთ კამპანიაში ყოველწლიურად მიიღოთ მონაწილეობა, მაშინ დაიმახსოვრეთ ეს თარიღები:

- **აპრილის შუა რიცხვებიდან 22 მაისამდე** - ამ პერიოდში უნდა მოხდეს მოსწავლეთა მობილიზება და მომზადება ფრინველებზე დაკვირვებისთვის.
- **22 მაისი** - ფრინველებზე დაკვირვება
- **10 ივნისი** - დაკვირვების შედეგების გაგზავნა.
- **სექტემბერ-ოქტომბერი** - გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გადამუშავებული შედეგების გაცნობა კამპანიის მონაწილეებისათვის.

გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო კამპანია **"ბაღის ფრინველთა საათი"** წამოიწყო საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ განხორციელებული გერმანულ-ქართული ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის *"ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამხრეთ კავკასიაში"* ფარგლებში, საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების ცენტრის (CIM) გერმანელი ინტეგრირებული ექსპერტის დახმარებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით.

დამატებითი ინფომაციისათვის დაგვიკავშირდით
საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს
ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური
თბილისი, 0114, გულუას ქ. №6,
ტელ.: (032) 272 72 31

biomonitoring.moe.gov.ge/frinvelebi

ბაღის ფრინველთა საათი

მასწავლებლის სამახსოვრო

რა არის ბაღის ფრინველთა საათი?

"ბაღის ფრინველთა საათი" ფრინველებზე დაკვირვების საგანმანათლებლო კამპანიაა. იგი 2009 წლიდან ყოველწლიურად ხორციელდება მთელ საქართველოში, ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღის - **22 მაისის** აღსანიშნავად. კამპანია უმთავრესად 12 წლის და უფროსი ასაკის მოსწავლეებისათვის არის განკუთვნილი, თუმცა სამომავლოდ იგეგმება კამპანიაში საზოგადოების უფრო ფართოდ ჩართვაც.

რა მიზნით ტარდება კამპანია?

"ბაღის ფრინველთა საათის" მთავარი მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ბიომრავალფეროვნებასა და ჩვენი საარსებო გარემოსათვის მისი მნიშვნელობის შესახებ.

"ბაღის ფრინველთა საათი" ახდენს საზოგადოებაში ბუნებრივი გარემოს ფასეულობების (მათ შორის ესთეტიური ფასეულობების) შექმნას და შესაბამისად, გრძელვადიან პერსპექტივაში, გარემოს მიმართ ადამიანის მართებული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, კამპანია ხელს უწყობს ბუნებრივი გარემოს მდგომარეობასა და ადამიანის კეთილდღეობას შორის არსებული მჭიდრო კავშირის უკეთ აღქმა-გაცნობიერებას.

კამპანიის კონკრეტული ამოცანებია:

- საქართველოში ფართოდ გავრცელებული ბაღის ფრინველების შესახებ ცოდნის გაღრმავება
- ახალგაზრდებში ადგილობრივი ფაუნის უკეთ შეცნობის ინტერესის გაღვივება ბუნებასთან მათი დაახლოების მიზნით
- ფრინველებზე დაკვირვების (ე.წ. „ბერდვოჩინგის“) პოპულარიზაცია საქართველოში.

თუ ხართ რომელიმე სკოლის საბუნებისმეტყველო საგნის პედაგოგი და გსურთ თქვენი სკოლა ჩართოთ "ბაღის ფრინველთა საათში", მაშინ ეს ინფორმაცია თქვენთვისაა. გაეცანით მას და დაგვიკავშირდით.

დაგვერწმუნეთ, წინ ბევრი სახალისო, სასიამოვნო და აღმოჩენებით სავსე წუთი გელით.

რას გულისხმობს კამპანიაში მონაწილეობა?

კამპანიაში თქვენი, როგორც პედაგოგის მონაწილეობა გულისხმობს შემდეგს:

- 12 წლის და უფროსი ასაკის მოსწავლეთა ჯგუფის მობილიზება ფრინველებზე დაკვირვებისათვის.
- მომზადებული მოსწავლეების მონაწილეობით **ფრინველებზე დაკვირვება** ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღეს - **22 მაისს**
- თქვენი სკოლის დაკვირვების შედეგების გაგზავნა გარემოს დაცვის სამინისტროში **10 ივნისამდე**
- სამინისტროსგან მიღებული კამპანიის საერთო შედეგების გაცნობა მონაწილეებისათვის.

თუ დაკვირვება ვერ ხერხდება 22 მაისს, მისაღები იქნება სხვა ნებისმიერი დღეც 22 მაისის კვირაში.

მოსწავლეთა მომზადება უნდა დაიწყოთ დაკვირვების დღემდე 2 - 4 კვირით ადრე.

მოსწავლეთა მოსამზადებლად საჭირო ყველა რესურსი (სასწავლო მასალები) და დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია საიტზე: biomonitoring.moe.gov.ge/frinvelebi

რატომ უნდა მივიღო მონაწილეობა?

კამპანია **"ბაღის ფრინველთა საათში"** თქვენი, როგორც პედაგოგის მონაწილეობა სავალდებულო არ არის და მთლიანად თქვენს სურვილზეა დამოკიდებული. თუმცა, კამპანიაში ჩართვით თქვენ საშუალება გექნებათ:

- გაამდიდროთ სასწავლო პროგრამა კლასგარეშე აქტივობებით და შედეგად უფრო მრავალფეროვანი, საინტერესო და ეფექტური გახადოთ სწავლების პროცესი
- აამაღლოთ მოსწავლეთა ინტერესი და მოტივაცია სწავლისათვის
- თქვენს სკოლაში დანერგოთ საინტერესო სიახლეები, რაც წარმოგაჩენთ აქტიურ მასწავლებლად
- აღმოაჩინოთ ბევრი საინტერესო რამ ბუნებრივ გარემოზე უშუალოდ თქვენს გარშემო
- დიდი წვლილი შეიტანოთ ისეთი მომავალი თაობის ჩამოყალიბებაში, რომელიც პატივს სცემს ბუნებას და არ ანადგურებს მას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

"ბაღის ფრინველთა საათი" საქართველოში პირველად 2009 წელს ჩატარდა, 181 სკოლის მონაწილეობით. მას შემდეგ კამპანია ყოველწლიურად იმართება და მასში ჩართვის მსურველი სკოლების რაოდენობა წლიდან წლამდე სულ უფრო მატულობს.

როგორ ჩავერთოთ კამპანიაში?

კამპანიაში რომ ჩაერთოთ, თქვენ უნდა გაეცნოთ კამპანიის ჩატარების წესებს, მითითებებს, ჩვენს მიერ მოწოდებული მასალებით მოამზადოთ მოსწავლეები და ა.შ.

ყოველივე ამისათვის, პირველ რიგში, უნდა ეწვიოთ ვებ-გვერდს **biomonitoring.moe.gov.ge/frinvelebi** და გაიაროთ მარტივი **რეგისტრაცია** (თუ მოცემულ მისამართზე ვერ შეხვალთ, გახსენით ვებ-საიტი biomonitoring.moe.gov.ge და მარჯვენა მხარეს დააწკაპუნეთ ბანერზე "ბაღის ფრინველთა საათი").

რეგისტრაციის დასაწყებად გააკეთეთ შემდეგი:

1. გახსნილი გვერდის მარჯვენა მხარეს დააწკაპუნეთ ღილაკზე **"რეგისტრაცია"**



2. აირჩიეთ **"მასწავლებლის რეგისტრაცია"**

3. ჩაწერეთ თქვენი მონაცემები შესაბამის ველებში (სახელი, გვარი, სკოლა და ა.შ) და დააჭირეთ ღილაკს **"გაგრძელება"**.

თუ ამის შემდეგ რომელიმე ველის ირგვლივ გამოჩნდება წითელი ჩარჩო, ეს ნიშნავს, რომ ეს ველი ან არ შეგივსიათ, ან შევსებულია არასწორად. გაასწორეთ ინფორმაცია და ხელახლა დააჭირეთ ღილაკს "გაგრძელება". თუ ყველაფერი სწორად არის, მაშინ ეკრანზე გამოჩნდება ამის დამადასტურებელი შეტყობინება.

4. დაელოდეთ ვებ-გვერდის ადმინისტრატორის დასტურს, რომელსაც მიიღებთ თქვენს მიერ რეგისტრაციისას მითითებულ ელ.ფოსტაზე, მაქსიმუმ 2 დღის ვადაში.

ადმინისტრატორის დადასტურების შემდეგ, თქვენი ანგარიში აქტიურია. ეს ნიშნავს, რომ თქვენ უკვე შეგიძლიათ შეხვიდეთ თქვენს პროფილში (ანგარიშში) და გამოიყენოთ იქ არსებული რესურსები.

რეგისტრაცია აუცილებელია ყველა პედაგოგისთვის, მათ შორის მათთვისაც, ვინც 2013 წლამდეც იყო ჩართული კამპანიაში.

გახსოვდეთ, რომ დარეგისტრირება საჭიროა **მხოლოდ ერთხელ.** თუ თქვენ ერთხელ უკვე დარეგისტრირდით, მომავალში, როდესაც გექნებათ კამპანიაში მონაწილეობის სურვილი, ხელახლა დარეგისტრირება აღარ დაგჭირდებათ.

დარეგისტრირდი. რა ხდება შემდეგ?

რეგისტრაციის დასრულების შემდეგ თქვენ უნდა შეხვიდეთ თქვენს პროფილში (ანგარიშში). ამისათვის, ვებ-გვერდის მარჯვენა პანელზე, შეიყვანეთ ელ.ფოსტის მისამართი, თქვენი პაროლი (რაც რეგისტრაციისას მიუთითეთ) და



დააწკაპუნეთ ღილაკზე **"შესვლა"**.

პროფილში თქვენ დაგხვდებათ შემდეგი ოთხი ჩანართი: *"ინფორმაცია"*, *"22 მაისი"*, *"ფაილის ატვირთვა"* და *"არქივი"*. ქვემოთ განხილულია თუ როგორ უნდა გამოიყენოთ თითოეული მათგანი:

- **"ინფორმაცია"** - ეს ჩანართი შეიცავს კამპანიის შესახებ ინფორმაციას, ჩატარების წესებს, რჩევებს, მითითებებს, ასევე სასწავლო მასალების ჩამოსატვირთ ბმულებს და ა.შ. ეს ყველაფერი დაგჭირდებათ კამპანიისთვის მზადებისას.
- **"22 მაისი"** - აქედან თქვენ შეძლებთ დაკვირვების შედეგების გამოგზავნას (შედეგების გამოგზავნაზე მითითებებს ნახავთ ქვევით). გაითვალისწინეთ, რომ 22 მაისამდე ეს ჩანართი პასიურია და მხოლოდ 22 მაისიდან 10 ივნისამდე გააქტიურდება. შესაბამისად, შედეგების გამოგზავნაც მხოლოდ ამ პერიოდში იქნება შესაძლებელი.
- **"ფაილის ატვირთვა"** - ამ ჩანართიდან შეგიძლათ მოგვაწოდოთ თქვენი ფაილები. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, დაკვირვების დროს გადაღებული ფოტოები.
- **"არქივი"** - აქ ნახავთ თქვენი ფაილების არქივს.

"ბაღის ფრინველთა საათისათვის" თქვენ ძირითადად დაგჭირდებათ *"ინფორმაციის"* და *"22 მაისის"* ჩანართები.